საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №19
2023 წლის 26 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის №790 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის №790 ბრძანებით (სსმ III, 30.11.2009, №147, მუხლი 1731) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ^1“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ^1) ანალიტიკის, დაყადაღებული აქტივების მართვისა და სტატისტიკის სამმართველო;“.

2. 4^3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4^3. ანალიტიკის, დაყადაღებული აქტივების მართვისა და სტატისტიკის სამმართველო

ანალიტიკის, დაყადაღებული აქტივების მართვისა და სტატისტიკის სამმართველოს ძირითადი ამოცანაა: სამსახურის სისტემაში დანაშაულთა (მათში მონაწილე პირთა) და სამართალდარღვევათა აღრიცხვა-სისტემატიზაცია, სტატისტიკური ანალიზი; სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში დაყადაღებული ან/და ამოღებული ქონების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა და სისტემატიზაცია; სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ასევე კანონით დასაშვები წყაროებიდან სამსახურის ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, სისტემატიზაცია და მათი ოპერატიულ-საგამოძიებო დანაყოფებისთვის მიწოდება; საგამოძიებო დეპარტამენტის მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება, ანალიზი და შემაჯამებელი ანგარიშების მომზადება.“.

3. მე-5 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ბ^2“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^3“ ქვეპუნქტი:

„ბ^3) საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილი კიბერკომპონენტის შემცველი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო;“;

ბ) 4^2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^3 პუნქტი:

„4^3. საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილი კიბერკომპონენტის შემცველი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო არის საგამოძიებო დეპარტამენტის ოპერატიულ-საგამოძიებო ქვედანაყოფი, რომლის ძირითადი ამოცანაა: ქვეყნის მასშტაბით, სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ კიბერკომპონენტის შემცველ დანაშაულთა ჩადენის სახეების და ხერხების იდენტიფიცირება და ანალიზი; სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ კიბერკომპონენტის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულთა გამოვლენა-აღკვეთის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და გამოძიების სრული მოცულობით წარმოება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან

წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**